ცნობის ფურცელი

№ 2592 სამშაბათი, 24 აგვისტო 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2592

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ანჩის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა. შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოქტორი მედიცინისა

ვ. ი. ინაევი.

მიიღებს შიგნეულის, ბავშვების და ქალების ავადმყოფობით შეპყრობილთ. დღისით 1—3 ს. და საღამოთი 5—8 საათამდე. მიხაილოვის ქუჩა, № 47. (2—1)

ფოთის საბუხჰალტერო კურსები

(წელიწადი მეხუთე)

სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან და გრძელდება ერთი წელი და ორი თვე. კურსებზე ღებულობენ როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. ასწავლიან: 1) საერთო ბუხჰალტერიას სარტივი და ორკეცი სისტემისა. 2) სპეციალურ ბუხჰალტერიას სხვა-და-სხვა დაწესებულებათა: ბანკების, ქარხნების, აქციონერულ საზოგადოებების, დიდ მაღაზიების და სხვათა ამ გვართა. 3) სავაჭრო არითმეტიკას. 4) სავაჭრო ეკონომიას. 5) სავაჭრო გეოგრაფიას. 6) სავაჭრო და სათამასუქო კანონებს. 7) სავაჭრო მიწერ-მოწერას და 8) კალიგრაფიას.

კურსების დამაარსებელი კ. გიგინეიშვილი.

მსურველთ პროგრამებს უგზავნის უფასოდ. (25—6.—18)

ქუთაისის

ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ მან მიიღო ს. ბ. თოფურიას საავადმყოფო ამბულატორიით, რომელმაც დაიწყო მოქმედება 7 აგვისტოდან ამა 1904 წ. იმავე პირობებით, რა პირობებითაც იგი მოქმედებდა ს. ბ. თოფურიას სიცოცხლეში. საავადმყოფო და ამბულატორია მოთავსებულია განსვენებულ თოფურიას სახლში. (10—9)

პანსიონი

ელისაბედის ქუჩა, № 71. ისარლოვისეული სახლი.

ალექსანდრე გიორგის ძე

მირზაშვილისა.

მიიღებიან ვაჟები საშუალო სასწავლებლებში მესამე კლასამდე მოსამზადებლად და აგრეთვე საზემლემერო სწავლებელში. (150—218—110)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერიული და კანისა 11—12 საათამდე.

მ. ფ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. ხალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.

არ. მ. ხოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—2 საათამდე.

ვ. ა. გეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველდღე.

ექ. ქალი მ. ძ. იოხელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 11—12 ს.

დ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტეფილაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

ა. მ. ხოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაკტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხაილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე-დილის 12—2 ს., საღამოთი 6—8 ს., სამშაბათობით მხოლოდ საღამოობით. კიროჩნის და დიდი მთავრის ქუჩ. კუთხე, სახლი სვანიშვილისა № 11 (კიროჩნის ქუჩიდან).

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქ., № 38).

დაბრუნდა და იღებს ავადმყოფებს დილის 9—2-დისა და საღამოს 5—7 საათამდე. კვირა-უქმობით—9—1-დისა და 5—6-მდ ის·

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ორდანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

გადავიდა ბარონის ქუჩაზე № 18, მესხიშვილის ლიტოგრაფიის ზემოდ. იღებს სიფილისით და ვენერიულ სენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე. (0—5)

ვ. ი. ჭიჭინაძემ უკვე დაიწყო კბილით ავათმყოფთა მიღება.

უმაღლესი მანიფესტი

(დასასრული,—იხ. „ცნობ. ფურც". 2586, 2587, 2588, 2589 და 2590 №№).

XX. ნებას ვაძლევთ შინაგან საქმეთა მინისტრს, დაუბრუნოს ვოლოსტის სასამართლოს მიერ როზგით დასჯილ გლეხთ ის უფლება, რომელსაც ამგვარად დასჯილენი ჰკარგავენ თანახმად კანონთა კრებ. მე-IX ტომის მე-182 მუხლისა, ესე იგი, უფლებას საგლეხო დაწესებულებაში სამსახურისას.

XXI. იმ პირთ, რომელთაც დანაშაულობისათვის ადმინისტრაციის მიერ მიესაჯათ ჯარიმის გადახდა, ეპატიოთ ჯარიმა იმ წესითა და იმ რიგით, რომელიაც აღნიშნულია ამ მანიფესტის მე-XIX მუხლის 1, 10 და 11 პუნქტებში.

XXII. განთავისუფლებულ იქმნან ხაზინის ფულის გადასახადისაგან დაჰნაშავეთა და აგრეთვე შეუძლებლობის გამო პასუხისგებაში მიცემულთა მემკვიდრენი, თუ დანაშაულობის ჩადენიდან მემკვიდრის დაბადების დღემდე 10 წელიწადი გავიდა.

XXIII. სახელმწიფო, სატყეო და სამთო უწყებათა, ხელმწიფისა, სამეფო კარისა და საუფლისწულო, ლოვიჩის სამთავროსა, ჩვენის კაბინეტის ალტაისა და ნერჩინსკის ოლქების ტყეების დამცველ რაზმის მოხელეთა და მსახურთ, აგრეთვე გლეხთ, ეპატიოთ ჯარიმა, რომელიც მათ დაეკისრა ტყის ურიგოდ მოვლისა და აჩეხისათვის, აგრეთვე ტყის დაცვის სხვა წესების დარღვევისათვის, რაც ჩადენილ იქმნა მემკვიდრის დაბადებამდე. ეს წყალობა არ ეხება იმ მოხელეთა და მსახურთ, ვინც ანგარების მიზეზით დაარღვევინა სხვას ან თვითონ დაარღვია სატყეო წესი და კანონები.

XXIV. განთავისუფლებულ იქმნან სასამართლოსა და სასჯელისაგან ისინი, ვისაც მემკვიდრის დაბადებამდე დაბრალდა ჩვენის კაბინეტის მამულებში ქვანახშირისა, ქვისა, თიხისა და სხვ. ამგვარის ნებადაურთველად გატანა.

XXV. განთავისუფლებულ იქმნან სასჯელისა, აგრეთვე გამოძიებისა და სასამართლოში მიცემისაგან ისინი, ვინც სამხედრო ბეგრის მოხდა აიცდინა თავიდან, თუ ასეთი დამნაშავენი მემკვიდრის დაბადებამდე გამოცხადდენ მთავრობასთან ან მემკვიდრის დაბადების დღიდან ერთის წლის განმავლობაში გამოცხადდებიან.

XXVI. საზღვარ-გარედ მცხოვრებ რუსის ქვეშევრდომნი, რომელნიც სასჯელთა დებულების მე-325 და მე-326 მუხლების ძალით არიან პასუხის გებაში მიცემულნი (კანონთა კრებ. ტომი XV, 1885 წ.), განთავისუფლებულ იქმნან ამ მუხლებში აღნიშნულ სასჯელისაგან; მხოლოდ რუსეთში დაბრუნების შემდეგ ორის წლით პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ უნდა იყვნენ.

XXVII. კავკასიის, თურქესტანის და ომსკის საგენერალ-გუბერნატოროს მკვიდრთ, რომელნიც მემკვიდრის დაბადების დღემდე, ადგილობრივ მთავრობის განკარგულებით, სხვა-და-სხვა დანაშაულობისა და ცუდ ყოფაქცევის გამო, ადმინისტრატიულის წესით გაგზავნილ იქნენ ევროპისა და აზიის რუსეთის გუბერნიებში და რომელთაც წინანდელი მანიფესტები არ შეეხო,—ყველა ამ მკვიდრთ, თუ ეხლა კარგის ყოფაქცევის არიან, შემდეგი შეღავათი მიენიჭოს: ვინც უვადოთ იქნა გაგზავნილი, 12 წლის შემდეგ განთავისუფლებულ იქნას პოლიციის ზედამხედველობიდან და მიეცეს უფლება, აირჩიოს საცხოვრებლად ადგილი ყველგან, გარდა სატახტო ქალაქებისა, სატახტო ქალაქების გუბერნიებისა და აგრეთვე იმ მხრისა (კავკასიისა, თურქესტანი, ომსკის საგენერალ-გუბერნატორო), რომლიდანაც იგი გადასახლებულ იქმნა. ვინც 5 წელიწადზე მეტ ვადით იქმნა გაგზავნილი, იმას აღნიშნული შეღავათი მიენიჭოს 5 წლის შემდეგ; ხოლო ვინც 5 წელზე ნაკლებ ვადით არის გაგზავნილი, იმას სანახევროდ შეუმცირდეს გადასახლების ვადა· თუ განთავისუფლებულმა პირმა თავის სამშობლოში ცხოვრება მოინდომა, ამისათვის ნება-რთვა უნდა აიღოს უმაღლესს ადგილობრივ მთავრობისაგან. იმ გაგზავნილთ, რომელთაც ვადა წინანდელმა მანიფესტებმა შეუმცირეს, ეხლა კიდევ შეუმცირდეთ ვადა ერთის წლით.

XXVIII. 1. ცუდ ყოფა-ქცევისათვის სასოფლო ყრილობის დადგენილებით ადმინისტრატიულის წესით გაგზავნილთ, თუ ამ ჟამად კარგი ყოფა-ქცევის არიან, ნება ეძლევათ (მე-23 მუხლი, მე-205 მუხლის დამატებისა, ტომი XIV, 1902 წლის გაგრძელ.) გადავიდნენ და ჩაირიცხნენ სხვა გუბერნიებსა და სოფლის საზოგადოებებში; შეუძლიანთ იმავ საზოგადოებებშიაც ჩაირიცხნენ, რომლებიდან გაძევებულ იქმნენ, მაგრამ ამისათვის საჭიროა შინაგან საქმეთა მინისტრის თანხმობა. 2. ადმინისტრატიულის წესით მოქალაქეთა საზოგადოებების დადგენილებათა თანახმად ციმბირში გაგზავნილთ, აგრეთვე იმათ, ვინც სასჯელის მოხდის შემდეგ თავის სასოფლო და სამოქალაქო საზოგადოებაში აღარ იქმნენ მიღებულნი, ნება ეძლევათ ჩაირიცხნენ სხვა გუბერნიასა და საზოგადოებაში, თუ ამ ჟამად კარგი ყოფა-ქცევისა არიან; გარდა ამისა, თუ ხსენებულმა გლეხებმა მოისურვეს ისევ თავის საზოგადოებაში ჩარიცხვა, ამისათვის ნებართვა უნდა აიღონ შინაგან საქმეთა მინისტრისაგან.

XXIX. ამ მანიფესტის მე-XIX მუხლის 1, 4, 14, 16—23 პუნქტებში აღნიშნული შეღავათები შეეხება სახელმწიფო დამნაშავეთაც, შემდეგ წესების დაცვით: 1. ნებას ვაძლევთ იუსტიციის მინისტრს, შინაგან საქმეთა მინისტრთან შეთანხმებით, წარმოგვიდგინოს განსაკუთრებული უქვეშევრდომილესი მოხსენებანი წინანდელ უფლებათა აღდგენის შესახებ იმ სახელმწიფო დამნაშავეთათვის, რომელთაც დაასრულეს ციმბირში გაგზავნის ვადა და კარგის ყოფა-ქცევით და შრომის-მოყვარეობით დაიმსახურეს თავისი მდგომარეობის შემსუბუქება. 2. ამ მანიფესტის მე-XIX მუხლის მე-16, 17, 18, 19 20 და 23 პუნქტებში აღნიშნულ წყალობათა მინიჭება იმ სახელმწიფო დამნაშავეთათვის, რომელნიც ეხლა იხდიან სასჯელს, ევალება ჩვენს ნამესტნიკს შორეულ აღმოსავლეთში, ირკუტსკის გენერალ-გუბერნატორს და ადგილობრივ გუბერნატორებს. 3. დავიწყებას მიეცეს ყველა ის საქმეები სახელმწიფო დანაშაულობათა შესახებ, რომელნიც მემკვიდრის დაბადების დღემდე, 15 წლის განმავლობაში, დაფარული იყვნენ. 4 დავიწყებას მიეცეს აგრეთვე საქმეები იმ დანაშაულობათა შესახებ, რომელნიც აღნიშნული არიან სასჯელთა დებულების 103-104, 106 და 107 მუხლებში (1903 წლი, გამოცემ.) და რომელნიც მემკვიდრის დაბადების დღემდე დაფარული იყვნენ. ამ მუხლებში აღნიშნულ დანაშაულობათა ჩამდენთ ეპატიოსთ დანაშაული და სასჯელი და დაუბრუნდესთ უფლებანი. 5. ის პირნი, რომელთაც ადმინისტრატიული სასჯელი მიესაჯა, თანხმად სისხლის სამართლის დებულების 1035 მუხლისა (კანონ. კრებ. ტომი XVI, ნაწ. I, 1892 წ. გამოც.), ან და თანახმად სახელმწიფო წესიერების დაცვის დებულების 32—36 მუხლებისა და რომელნიც მემკვიდრის დაბადებამდის სრული წლოვანი არ გამხდარან, სასჯელისაგან განთავისუფლებულ იქმნან. 7. ვისაც ამავე წესით მიესაჯა 6 თვეზე მეტი დაპატიმრება ან 1 წელიწადზე მეტი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ყოფნა, იმათ სასჯელი ერთის მესამედით შეუმცირდეთ, თუ ამ ჟამად კარგის ყოფაქცევის არიან. 8. ამ მანიფესტის მე-XXIX მუხლის მე-7 პუნქტში აღნიშნულ წყალობის მინიჭება ევალება ჩვენს ნამესტნიკს შორეულ აღმოსავლეთში, კავკასიის მთავარმართებელს, გენერალ-გუბერნატორებს, გუბერნატორებს და გრადონაჩალნიკებს. 9 შინაგან საქმეთა მინისტრს ნებას ვაძლევთ, წარმოგვიდგინოს შუამდგომლობანი იმ პირთა სამშობლოში დაბრუნების შესახებ, რომელნიც მემკვიდრის დაბადების დღემდე თავის ნებით გადიხვეწნენ სხვა სახელმწიფოებში, სახელმწიფო დანაშაულობის ჩადენის გამო და რომელთაც სისხლის სამართლის დებულების (1903 წ. გამც.). 99 მუხლში აღნიშნულ ბოროტ-მოქმედება არ ჰბრალდებათ, თუ ეს პირნი მოისურვებენ სამშობლოში დაბრუნებას და თუ ტახტისა და სამშობლოსადმი ერთგულებას და სინანულს გამოაცხადებენ.

XXX. სამართალსა და პასუხის გებაში მიცემულნი, რომელნიც ამ მანიფესტის ძალით განთავისუფლებულ უნდა იქმნენ სამართლისა და სასჯელისაგან, თუ თავს დამნაშავეთ არა სცნობენ და ჰსურთ თავის გამართლება, შეუძლიანთ ერთის თვის განმავლობაში იმ დღიდან, რა დღესაც საქმის მოსპობის ამბავი იქმნება გამოცხადებული, ითხოვონ გამოძიებისა და სამართლის განახლება, ამგვარადვე შეუძლიანთ მოითხოვონ საქმის დამთავრება იმათ, ვისაც მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე ჩადენილ საქმეებისათვის სამართალი და პასუხის გება მოელის და ამ მანიფესტის ძალით შემდეგში თავისუფალი უნდა იქმნას და ვინც არ მოისურვებს ამ წყალობით სარგებლობას, პირველნიც და მეორენიც, თუ დამნაშავენი აღმოჩნდებიან, ამ მანიფესტის ძალით პატიებას ველარ ეღირსებიან.

XXXI. თუ ამ მანიფესტის განხორციელების დროს რაიმე ეჭვი დაიბადა, მთავრობის ყველა დაწესებულება ვალდებულია მიჰმართოს უმართებულეს სენატის პირველ დეპარტამენტს; ხოლო თანხების შესახებ, რომელიც უნდა შეიკრიბოს დედოფალ მარიამის უწყების დაწესებულებათა სასარგებლოდ—სააპეკუნო საბჭოს. უმართებულეს სენატმა და სააპეკუნო საბჭომ, თუ აღმოჩნდა ისეთი საქმე, რომელიც იმათ უფლებას აღემატება, დებულების წესით უნდა აიღონ ჩვენი ნებართვა.

XXXII. ფინლიანდიის დიდ სამთავროს მკვიდრთ ებოძოთ შემდეგი წყალობანი და შეღავათი: 1. ეპატიოთ ის პირადი და საადგილ-მამულო გადასახადი, რომელიც 1904 წლის 1 იანვრისთვის იყო გარდასახდელი და არ გარდახდილა მემკვიდრის დაბადების დღემდე და ეპატიოთ აგრეთვე ზოგიერთი სხვა გარდასახადი; 2. ეპატიოთ მოუსავლობით დაზარალებულთ მეოთხედი პირველად მიცემულ იმ სესხისა ფულად, ხორბლად ან ფქვილად, რომელიც მემკვიდ-

რის დაბადების დღემდე არ დაუბრუნებიათ; 3. ფინლიანდიის ხაზინიდან გადაეცეს 3 მილიონი მარკა უმიწაწყლოთა საჭიროებისათვის დანიშნულ ხელ-უხლებელ ფონდს; 4. ეპატიოთ მცხოვრებთ მემკვიდრის დაბადების დღემდე გადაუხდელი ჯარიმები, რომელნიც დაედო სოფლისა და ქალაქის საზოგადოებებს 1902 და 1903 წლებში სამხედრო საკრებულოების წევრთა აურჩევლობისა გამო, თუ საზოგადოებებმა აღნიშნული მოვალეობა 1904 წელს აასრულეს; 5. უფლება მიეცეთ ნება-დაურთველად გახიზნულთ უშიშრად დაბრუნდნენ ფინლიანდიაში ერთი წლის განმავლობაში მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღიდან, იმ პირობით-კი, რომ ვინც სამხედრო ბეგარა მოსახდელია, ის დაუყოვნებლივ გამოცხადდეს ადგილობრივ სამხედრო საკრებულოში; 6. სასჯელისაგან განთავისუფლებულ იქმნენ ისინი, რომელნიც, კანონის წინააღმდეგ, არ გამოცხადდნენ სამხედრო ბეგრის მოსახდელად, თუ ესენი მემკვიდრის დაბადების დღიდან 3 თვის განმავლობაში სამხედრო საკრებულოს გამოეცხადებიან; 7. სასამართლოსა და სასჯელისაგან განთავისუფლებულ იქნან ის დამნაშავენი, რომელთა დანაშაულობისთვისაც უმაღლეს სასჯელად დადებულია ფულის გადახდა 500 მარკამდე, დაპატიმრება ერთ წლამდე, სამსახურიდან სრულიად ან დროებით დათხოვნა, თუ ეს დამნაშავენი მემკვიდრის დაბადების დღემდე პასუხის გებაში არ ყოფილან მიცემულნი, თუ მათ შესახებ არ ყოფილა გამოცხადებული ან სისრულეში მოყვანილი სასამართლოს განაჩენი; განთავისუფლებულ იქმნან სასჯელისაგან აგრეთვე ისინი, რომელნიც აღნიშნულ დანაშაულობისთვის სასჯელს უკვე იხდიან; ეს წყალობა არ ეხება იმათ, რომელთაც ჰბრალდებათ ქურდობა, გაფლანგვა, მოპარულის დამალვა, ძარცვა, დატყუება, სიყალბე და საზოგადოდ ის დანაშაულობანი, რომელსაც შედეგად მოსდევს ნდობის დაკარგვა ან ფინლიანდიის სამსახურიდან დათხოვნა; აგრეთვე იმათ, რომელთა დანაშაულობაც კერძო ბრალდებით არის დაწყებული; იმათ, ვინც ეს დანაშაულობანი ჩაიდინეს და ვისაც ზემო აღნიშნულებზე მეტი სასჯელი მოელით, შეუმცირდეთ სასჯელი ერთი მესამედით; ხოლო იმათ, ვისაც სამუდამოდ დაპატიმრება აქვთ გადაწყვეტილი, 14 წლის ვადა დაენიშნოთ; 8. ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორმა შეიმუშაოს ის ზომები, რომელიც შეიძლება მიღებულ იქმნას იმათ ბედის გასაუმჯობესებლად, რომელთაც აკრძალული აქვთ ფინლიანდიაში ცხოვრება; თავისი მოსაზრებანი გენერალ-გუბერნატორმა უმაღლესად უნდა წარადგინოს. 9. თუ ამ მუხლის განხორციელების დროს რაიმე ეჭვი დაიბადა, ამ ეჭვის გადაწყვეტა მიენდოს ფინლიანდიის სენატს ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორთან შეთანხმებით.

ბოძებულია 11 აგვისტოს ქრისტეს დაბადებიდან ათას ცხრაას მეოთხესა წელსა, ჩვენის მეფობისა მეათესა წელსა.

ნამდვილს მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია:

„ნიკოლოზ“

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 აგვისტო

პეტერბურგი. ებოძათ: გენერალ-ლეიტენანტობა: აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელთა მე-5 დივიზიის უფროსს ალექსეევს, იმიერ-ბაიკალის ყაზახთა დივიზიის უფროსს ფონ-რენენკამფს, აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელთა 1 დივიზიის უფროსს გერნგროსს, აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელთა მე-4 დივიზიის უფროსს ფოკს; ინფანტერიის გენერლობა—ამურიის მხრის სამხედრო ოლქის ჯართა უფროსს და ყაზახთა ჯარის ნაკაზნოი ატამანს ლინევიჩს.

ტოკიო, 21 აგვისტო, დილის 6 საათი (ბერლინიდან მიღებული ცნობა). დღევანდლამდე იმ ზარალს, რომელიც იაპონიის სამსავე არმიას მოუვიდა, ანგარიშობენ 19 ათას კაცად. ამბობენ, იაპონიის ზარალი იმდენად დიდია, რომ იაპონიაში დარჩენილი მე-6 და მე-7 დივიზიები, თავის სარეზერვო ბრიგადებით, დაუყოვნებლივ გაგზავნილი იქნებიანო. ამ ჯარის ნაწილი გაიგზავნება კუნძულ სახალინზე. იაპონელები ამ კუნძულიდან შეუდგებიან ვლადივოსტოკის ალყის შემორტყმას. ეს ალყა უკვე გადაწყვეტილია. იაპონელები დიდ მნიშვნელობას აძლევენ სახალინის აღებას, რადგან ეს კუნძული იაპონიას ეკუთვნოდა.

ტოკიო, 21 აგვისტო („რეიტ. სააგ.“). ლიაოიანის ჩრდილოეთით, რკინის გზასთან, ჯერ კიდევ ცხარე ბრძოლაა.

ტოკიო, 22 აგვისტო („რეიტ. სააგ.“). დღეს უკანასკნელი ბრძოლაა ლიაოიანის მიდამოებში.

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის უქვეშევრდომილესი დეპეშა, მისს იმპერატორებით უდიდებულესობას 21 აგვისტოს: „დღეს, 21 აგვისტოს, ჩვენის ჯარის დიდი ნაწილი იმყოფება ლიაოიანის ჩრდილოეთით, ქალაქიდან 17 ვერსის მანძილზე რკინის გზის იმ შტოს სამხრეთით, რომელიც იანტაის სადგურიდან იანტაის მღვიმე-მაღაროებში მიდის. იქვეა ციმბირის პირველი კორპუსი. იაპონელები თუმცა ჩვენი ჯარის მახლობლად იყვნენ, მაგრამ გაოლიანიდან სროლის მეტი არა უმოქმედნიათ-რა. ლიაოიანში მყოფი ჩვენი ჯარი მდინარე ტაიძიხეს მარჯვენა ნაპირზე გადადის. ის ადგილი ბრძოლისა, სადაც ჩვენი ჯარი მოქმედებს, დაფენილია გაოლიანით, რაიცა ხელს უშლის მოძრაობას. გუშინ გენერალ-მაიორის ორლოვის რაზმმა უმთავრესად იმიტომ დაიხია უკან, რომ გაოლიანში მიმავალს ამ რაზმს იაპონელები თოფებს ესროდნენ. ამ რაზმს დიდი ზარალი მოუვიდა. მარტო ერთმა პოლკმა ათას-ხუთას კაცამდე დაჰკარგა. ზემო აღნიშნულს უქვეშევრდომილესად ვაუწყებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას“.

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). 22 აგვისტოს, დილის 9 საათზე, იაპონელებმა დაიჭირეს ლიაოიანი.

საიგონი. („ჰავასის სააგ.“). კრეისერ „დიანა“-ს უფროსმა ბრძანება მიიღო თავის მთავრობისაგან, იარაღი აჰყაროს კრეისერს.

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). ოიამა იუწყება: „22 აგვისტოს, შუადღისას, რუსებმა დასწვეს საწყობები ლიაოიანის სადგურის მახლობლად. კუროკიმ ჯარის ნაწილი საცუაგოში დასტოვა მარჯვენა ფრთეს დასაცველად, ხოლო თვითონ მედგრად და ფიცხლად გაჰქანდა დასავლეთისაკენ, რომ რკინის გზასთან მისულიყო და ლიაოიანისათვის შემოევლო. მარცხენა და ცენტრის არმიები ჯერ კიდევ ლიაოიანის სამხრეთიდან და დასავლეთიდან მიდიან რუსების წინააღმდეგ“.

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). ნაშუადღევის 1 საათზე ოიამა დეპეშით იუწყება: „22 აგვისტოს, დილის ცხრა საათზე, ცხარე ბრძოლის შემდეგ, რომელმაც მთელ ღამეს გასტანა, სრულიად ავიღეთ ლიაოიანი. ჩვენი ზარალი უთუოდ დიდია.“

იზიუმი. წითელ ჯვრის თავად-აზნაურთა მთავარ-კომიტეტის რწმუნებულად შორეულ აღმოსავლეთში წავიდა იზიუმის თავად-აზნაურთა წინამძღოლი.

კიევი. სოფიის ტაძარში გადახდილ წირვის შემდეგ სამღვდელოება ლიტანიით გაემართა სოფიის მოედნზე, სადაც ჩიგირინის ეპისკოპოსმა პლატონმა პარაკლისი გადაიხადა გამარჯვების მონიჭებისათვის.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. ნამესტნიკი გენ.-ად. ალექსეევი ამ ჟამად ვლადივოსტოკს იმყოფება. ხმა დადის, ნამესტნიკი მალე წავა ვლადივოსტოკიდანაო. გენ. რენენკამფიც ვლადივოსტოკსაა. („რ. ს.“).

„ბერლინერ ტაგებლატ“-ი და სხვა გაზეთები კიდევ იუწყებიან, რუსები მეორე არმიის დაარსებას ჰფიქრობენ შორეულ-აღმოსავლეთშიო. ეს არმია გენ. კუროპატკინის არმიის უკან დაბინავდება სადმეო. ამ არმიას 3 ან 4 კორპუსი ქვეითა ჯარი ეყოლება და დიდძალი მძიმე, სუმბუქი და ნამეტნავად ბევრი სამთო ზარბაზანი ექნებაო. („რ. ვ.“).

„ჰავასის სააგენტო“ იუწყება: კრეისერ „ნოვიკ“-ის მეზღვაურები კუნძულ სახალინიდან ვლადივოსტოკს მივიდნენო. („რ. ლ.“).

კრონშტადტიდან გემების ხელოსნები და ოსტატები გაისტუმრეს ვლადივოსტოკს. ეს ხელოსნები ვლადივოსტოკის პორტში იმუშავებენ. („ბ. ვ.“).

სარწმუნო კაცები იუწყებიან, იაპონიის მთავრობამ ბევრ ახალ სამხედრო გემის აშენება შეუკვეთა ინგლისის ვერფებსაო. ეს გემები ორის წლის განმავლობაში აშენდება. ლონდონში იაპონელი მეზღვაური აფიცერი ფუჯი მოვიდა, რომ ამ გემების აშენებას თვალ-ყური ადევნოს. (რ.“).

ბრძოლა ლიაოიანთან. „ლოკალ ანცაიგერ“-ის სამხედრო თანამშრომელი სწერს: იაპონელებს ლიაოიანთან სულ მცირედ 200 ათასი კაცი ჰყავთ, რუსებსაც დაახლოვებით ამდენივე ჰყავთ, ან ცოტა მეტი. გინდ იაპონელებს რუსებზე მეტი ჯარიც ჰყავდეთ, მაინც ლიაოიანის აღება მეტად ძნელი საქმეა. იაპონელებმა კარგად იციან, რომ გენ. კუროპატკინს ლიაოიანთან მეტად მაგარი პოზიციები უჭირავს. აპრილიდან დაწყებული აგვისტომდე რუსის ინჟენერმა ველიჩკომ ლიაოიანთან დიდი სიმაგრეები ააშენა თანამედროვე ტაქტიკის თანახმად. ლიაოიანი ნამდვილი პლევნაა. ყველას კარგად ესმის, რომ ომის საქმე აქ, ლიაოიანთან გადასწყდება და არა პორტ-არტურთან, ამიტომ იაპონელები ყველაზე მეტად გენ. კუროპატკინის არმიის დამარცხებას ნატრობენ. გენ. კუროპატკინს ყოველდღე ახალ-ახალი ჯარი მოსდიოდა; იაპონელებმაც პორტ-არტურის აღებას აღარ მოუცადეს და 11 აგვისტოს იერიშით წამოვიდნენ ლიაოიანზე. ბოლოს დროს იაპონელებსაც მოუვიდათ ჯარი. როგორ მოიქცევიან და რას იზმენ იაპონელები, ეს ჯერ არავინ იცის, რადგან მარშალმა ოიამამ იცის, რომ მეტად მძიმე საქმე უდევს წინა და თავის სამხედრო პლანს არავის უმჟღავნებს. („ნ.“).

„ბერლინერ ტაგებლატ“-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: გენ. კუროპატკინს ლიაოიანთან 180 ათასი კაცი ჰყავს, მარშალ ოიამას 240 ათასი. ამ ბოლოს დროსაც დიდი ჯარი მიემატა გენ. კუროპატკინს. ლიაოიანთან მეტად მაგარი პოზიციები უჭირავთ რუსებს. პოზიციებზე ყველგან რამდენიმე რიგი სანგარია გამართული; სანგრების მისავალში ნალმებია ჩაწყობილი და ეკლიანი მავთულია გაბმული. სარეზერვო ჯარისათვის მიწის ქვეშ მრავალი სამალავია ამოთხრილი, რკინის კოჭებითა და რკინის ფიცრებით დაფარული, ასე რომ ყუმბარა ვერას დააკლებს ამ სამალავებს. პოზიციისა და პოზიციის შუა მიწის ქვეშ ხვრელებია გაყვანილი სავლელად და ტელეგრაფისა და ტელეფონის მავთულებია გაბმული. ნიჭიერმა ინჟენერმა ველიჩკომ ლიაოიანთან მეტად ძლიერი სიმაგრეები ააშენა, ასე რომ აქ რუსებს ადვილად შეუძლიანთ იაპონელების დამარცხება. ლიაოიანის სიმაგრეების აღება მხოლოდ საალყე ზარბაზნების შემწეობით შეიძლება. არა მგონია, იაპონელებს ლიაოიანთან საკმაოდ ჰქონდეთ საალყე ზარბაზნები, რადგან რაც დიდი ზარბაზნები ჰქონდათ, პორტ-არტურისაკენ გაჰგზავნესო. („ბ. ვ.“).

ბერლინის სამხედრო წრეების ანგარიშით, გენ. კუროპატკინს ლაოიანთან 190 ათასი კაცი ჰყავს, იაპონელებს 240 ათასიო.

ლიაოიანის მიდამოებში ბრძოლა 11 აგვისტოს დაიწყო. სამის დღის ბრძოლის შემდეგ რუსებმა ლიაოიანისაკენ დაიხიეს, იაპონელებიც თან მიჰყვნენ და 16 აგვისტოს საღამოდან თითონ ლიაოიანთან დაიწყო ბრძოლა. 17 აგვისტოს გენ. ნოძუსა და გენ. ოკუს არმიებმა მედგარი იერიში მიიტანეს პორტ-არტურის სიმაგრეებზე, მაგრამ რუსებმა ყველგან მოიგერიეს ეს იერიში. რუსის ჯარს გამარჯვების იმედი მიეცა; ყველა ამბობდა თურმე, ეხლა-კი ამოვიყრით იაპონელების ჯავრსაო, მაგრამ 17 აგვისტოს საღამოთი ლიაოიანში ხმა გავრცელდა, გენ. კუროკიმ მდ. ტაიძიხეს გაღმა გაიყვანა თავისი ჯარი და რუსის ჯარს გზის მოჭრას უპირებსო...

რუსის კორესპონდენტებიც თითქმის ერთხმად იუწყებიან, 17 აგვისტოს რუსის ჯარმა გაიმარჯვა ნამდვილადაო.

„რუს“-ის კორესპონდენტმა ნ. კირილოვმა 17 აგვისტოს დეპეშა გაუგზავნა თავის გაზეთს, რუსის ჯარმა გაიმარჯვა და 46 ზარბაზანი წაართვა იაპონელებსაო; ბევრი ზარბაზანი დაუზიანებელიაო. კორესპონდენტი ისევ წინა პოზიციაზე დაბრუნდა და ორიოდე წუთის შემდეგ იაპონელების ტყვია მოჰხვდა და მკერდი გაუგმირა. („რ. ლ.“)

„რუს“-ს ატყობინებენ ლიაოიანიდან: 14 აგვისტოს გენ. კუროპატკინმა ჯილდოები დაურიგა დაჭრილებს. მთავარ-სარდალი მეტად კარგ გუნებაზე იყო, ოხუნჯობდა დ სიცილით ელაპარაკებოდა დაჭრილ აფიცრებსა და სალდათებსო. („ნ. დ“).

გენ. გერშელმანის დივიზიის, (გენ. კურო კის წინააღმდეგ მოქმედებდა მდ. ტაიძიხე ნაპირას) 14 აგვისტოს დიდი ზარალი მ ჰსვლია. („რ. ლ.)“.

„რუს“-ს დეპეშით ატყობინებენ ლიაოიანიდან: 14 აგვისტოს აღმოსავლეთის რაზმში გენ. მარსონი დასჭრესო.

14 ივლისს ანპინთან ბრძოლის დრო ყაბარდოელების რაზმის უფროსი თავა ბეკოვიჩ-ჩერკასკი დასჭრეს. („რ.“).

პორტ-არტური. „ბერ. ლოკალ ანცაიგერ“-ის სამხედრო მიმომხილველი ღრმადაა დარწმუნებული, რომ პორტ-არტური მა იქნება აღებულიო. მიმომხილველი სწერს: უბრალო იმედით თავის მოტყუება არაფე საქმეა. ეხლანდელი საალყე ზარბაზნები ყოველ ციხის ფორტებს მოუღებენ ბოლოს, რაც უნდა მკვიდრადა და მაგრად იყოს აგე ბული ეს ფორტები, გინდაც სულ ბეტონის და ჯავშნისაგან იყოს აშენებული. პორტ-არტურის ფორტები-კი, რამდენადაც ვიცით, ყველა ბეტონისაგან როდია აშენებული. ამას გარდა თითონ მეციხოვნე ჯარის გმ რობაც ბოლოს უსათუოდ გატყდება, რა უნდა გმირი კაცი იყოს, ისიც ადამიანია. მიმომხილველი ჰფიქრობს, პორტ-არტური კიდევ 29 აგვისტომდე თუ გაუმაგრდება იაპონელებსაო. თუ გენ. კუროპატკინ ლიაოიანთან ძალზე დაამარცხებს იაპონელებს, მაშინ-კი შეიძლება პორტ-არტურსაც ეშველოსო. („ბ. ვ.“)

„მოსკოვსკი ვედომოსტ“-ის სამხედრო თანამშრომელიც ჰფიქრობს, თუ გენ. კუროპატკინი ჯარს არ მიაშველებს პორტ-არტურს, რუსის მეციხოვნე ჯარს გული გაუტყდებაო.

„რეიტერის სააგენტო“-ს კორესპონდენტი იუწყება ჩიფუდან: ერთმა რუსმა ამიხსნა, რომ პორტ-არტურში სამგან არის ფორტი № მე-5 ორ ბატარეიას რუსის მარცხენა ფრთაზე ჰქვიან № 5, იტაშანის მარცხენა მხარეს ერთ ფორტსაც № მე-5 ჰქვიან. ამბობენ, იაპონელებმა იტაშანს ახლო აიღეს ფორტი № მე-5. სჩანს, იაპონელების ჯარი რუსების უბანთან მისულა, მაგრამ გინდ ეს სულ აიღონ, ეს კიდევ არ ჰნიშნავს პორტ-არტურის აღებას. რუსის ფორტები ამნაირადაა გამწკრივებული, რომ სანამ ვეფხვის კუდსა („ტიგროვი ხვოსტ“) და ლიაოტეშანს (პორტ-არტურის სამხრეთითაა, ნავთ-სადგურის გვერდზე) არ აიღებენ, კიდევ დიდ ხანს გაუმაგრდება იაპონელებს. ვეფხვის კუდი და ლიაოტეშანი მეტად მაგარი, მიუვალი ადგილებია და პორტ-არტურის ბედიც აქ უნდა გადასწყდეს.

სამის დღის წინ დეპეშამ გვაცნობა, პორტ-არტურიდან 17 აგვისტოს გამოსულმა ჩინელებმა ჩიფუში ამბავი მოიტანეს: იაპონელებმა ვეფხვის კუდზე და ლიაოტეშანზე ზღვიდან ჯარი გადაიყვანეს და რამდენიმე ფორტი დაიჭირესო. ლიაოტეშანზე გამწვავებული ბრძოლა მოხდაო. ეგაა მას აქეთ პორტ-არტურიდან აღარაფერი ცნობა აღარ მოსულა.

ზოგი ამტკიცებს, რომ პორტ-არტურის ბედი ოქროს გორასა და აღმოსავლეთ ფორტებზე გადასწყდებაო. სანამ ეს სიმაგრეები რუსების ხელში იქნება, პორტ-არტურს არა უჭი რაო. („რ.“).

ჩიფუდან ატყობინებენ უცხოეთის გაზე თებს: პორტ-არტურიდან მოსულმა ჩინელებმა ილაპარაკეს, იაპონელებმა 10 აგვისტოს იტშანის ფორტი დაიჭირესო. იაპონ ფლოტი ზღვიდან ბეჯითად ჰდარაჯობს პორტ-არტურს. რაც-კი ნავთ-სადგურიდან ნავი მოდის, ყველასა ჰსინჯავენ. იაპონელები ნუწყვეტლივ ზარბაზანს უშენენ ნავთ-სადგურს. რუსის გემებს იქ დგომა აღარ შეუძლიანთ. რუსები მოკლულთა დასაფლავება ვერ ასდიან, ამიტომ მეტად ცუდი სუ დგას ქალაქში. ნავთ-სადგურში წყალი სწ რედ ჰდუღს ყუმბარებისაგან. უკანასკნელ სამ დღეს ნავთ-სადგურში 3 ათასი ყუმბა დაეცა. რუსის მეციხოვნე ჯარი დარწმუნ ბულია, იაპონელები პორტ-არტურს ვ აიღებენო. ამაზე ბევრი სანაძლეო იმართება („ნ. დ.“).

„სენტრალ ნიუს“-ის სააგენტო იუწყე იაპონელებმა პორტ-არტურთან სუიშიი ახლო წყლის მილის სათავე ჩაიგდეს ხელში ჰფიქრობენ, უწყლობა საქმეს გა ჭირებს რუსის ჯარსაო. („მ. ვ.“).

12 აგვისტოს პორტ-არტურიდან ერთი განათლებული ჩინელი მისულა ჩიფუში და ულაპარაკნია, 4 დიდი რუსის გემი ნავთსადგურში ნამდვილად დაცხავებულია ყუმბარებისაგანაო. იაპონელები კაი გუნებაზე არიან, ჩვენი საქმე კარგად მიდისო. სულაც არ მოჰსვლიათ ისეთი დიდი ზარალი, როგორც აზვიადებენო. („ნ.“).

„ბერლინერ ტაგებლატ“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი სწერს: პეტერბურგში ცნობა მიიღეს, იაპონელები თან და თან უფრო ძლიერ უშენენ ზარბაზანს ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის ფორტებსაო. მეტადრე ჩრდილოეთ ფორტების მარცხენა ფრთას ატანენ ძალას. რუსებიც მედგარ წინააღმდეგობას უწევენ. რუსებმა გემებიდან იარაღი ხმელეთზე გადაიტანეს და ციხის სიმაგრეებზე დადგეს. საზღვაო ზარბაზნებმა იაპონელების რამდენიმე ბატარეია გააჩუმეს. თუმცა მეციხოვნე ჯარი მამაცად იბრძვის, პეტერბურგში მაინც უარს არა ჰყოფენ, რომ პორტ-არტური განსაცდელშია ჩავარდნილიო. („ნ. დ.“).

12 აგვისტოს ჩიფუში პორტ-არტურიდან ზარბაზნის ხმა მოდიოდა. ჩინელები ამბობენ, იაპონელებმა ჩაოჩანხო დაიჭირეს და იქიდან ზარბაზანი დაუშინეს ციხესაო. ახალი ქალაქი სანთელივით იწვის. კერძო ხალხი, დიდი თუ პატარა, სულ პოზიციებზე იბრძვიანო. 11 აგვისტოს პორტ-არტურის ნავთ-სადგურიდან 3 რუსის ნაღმიანი გემი და ხუთი დიდი გემი რეიდზე გამოვიდნენ ნაღმების მოსაძებნად და ასაფეთქებლად. ორი ნაღმიანი გემი ნაღმს მოჰხვდა; ერთი ორ-საკვამლიანი ნაღმიანი გემი ჩაიძირა, მეორე ოთხ-საკვამლიანი ბუქსირით ნავთ-სადგურში შეიყვანესო. ჰფიქრობენ, იქნება რუსის ფლოტმა კიდევ სცადოს ვლადივოსტოკისაკენ წასვლაო. („ნ. დ.“).

ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ „ინდეპანდან ბელჟ“-ს: მალე იაპონელები შტურმით მივლენ პორტ-არტურზეო. („ნ. დ.“).

ჩიფუდან ატყობინებენ უცხოეთის გაზეთებს, ამ ორის კვირის განმავლობაში იაპონელებმა დალნიში 22 ორი ათასი ჯარის კაცი მოიყვანეს 20 გემითაო. („ნ. დ.“)

იაპონელები ჰფიქრობენ, რუსის მეციხოვნე ჯარს სულ მცირედ 10 ათასი კაცი დააკლდებოდა მოკლული, დაჭრილი და ავადმყოფიო. („ნ. დ.“)

„ბერლინერ ტაგებლატ“-ის კორესპონდენტი იუწყება: იაპონელებს პორტ-არტურთან სულ 12 ათასამდე კაცი მოუკლეს და დაუჭრეს მას აქეთ, რაც პორტ-არტურს ალყა შემოარტყესო („ნ. დ.“)

რომიდან ატყობინებენ „დეილი ნიუს“-ს: რუსები მეტად აზვიადებენ იაპონელების ზარალს პორტ-არტურთან. იტალიის სამხედრო სამინისტროს ცნობა მოუვიდა თავის აგენტებისაგან, მას აქეთ, რაც პორტ-არტურს ალყა შემოარტყეს, იაპონელებს სულ 7,500 კაცი მოუკლეს და დაუჭრესო. („ნ. ლ“).

„ბერლინერ ტაგებლატ“-ს ატყობინებენ: ის ხმა, ვითომ მეოთხე არმიის უფროსი გენერალი ნოგი გამოცვალეს და იმის მაგივრად მარშალი იამაგატა დანიშნესო,—ტყუილიაო. პორტ-არტურიდან პეტერბურგში ცნობა მოვიდა, იაპონიის მეოთხე არმიას ისევ გენ. ნოგი უფროსობსო.

„დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი იუწყება: გენ. ნოგიმ უბძანა თავის ჯარს, ქალაქს ზარბაზანს ნუ ესვრით, რომ კერძო ხალხი არ დაიხოცოს და ზარალი არ მიეცესო. მაგრამ ხანდახან ნავთ-სადგურის მაგივრად, ყუმბარა ანაზდეულად ქალაქში დაეცემა ხოლმეო. („მ. ვ.“)

ომში

მოკლულნი, დაჭრილნი და ტყვედ წაყვანილნი

მთავარ შტაბის განსაკუთრებული განყოფილება აცხადებს მოკლულთა, დაჭრილთა და ბრძოლის ველზე დარჩენილთა სიას:

მოკლულ იქმნენ: გენერალ-მაიორი რუდკოვსკი, პოდპოლკოვნიკები ფონ-რააბენი და პოკოტილო; დაიჭრნენ: პოლკოვნიკი კლემბოვსკი, კაპიტნები პარფიანოვი და შულეინკო, შტაბს-კაპიტნები კარპოვი, გლაგოლევი, ილინსკი, პორუჩიკი პეტრაში, პოდპორუჩიკი პაციორკოვსკი, ჩერნევი, ვოისკოვოი სტარშინა დაბოშკინი და ესაული ვერბიცკი; გაიკაწრნენ: პორუჩიკი ივანოვი და პოდპორუჩიკი პოლიაკოვი; ბრძოლის ველზე დარჩა: პოდპორუჩიკი დორონინი.

ახალი ამბავი

◆ ტფილისის **ქალაქის საბჭოს კრებები** შემოდგომაზე დაიწყება 13 სექტემბერს. ამ პირველ კრებაზე საბჭო განიხილავს ხორცის დუქნების საქმეებს.

◆ **სოფ. ჭალადიდი.** 14 აგვისტოს, დილის 11 საათზე საგრძნობლად იძრა მიწა. ზოგგან ისე ძლიერი იყო მიწის ძვრა, რომ ძლიერ შეშინდა ხალხი. ერთგან მხერხავი სახერხავზე იყო და ძირს ჩამოვარდა; ვინც ამ დროს ლოგინზე იყო, გადმოვარდა. ამ დღეს სამჯერ იძრა მიწა და ყოველთვის საგრძნობლად.

◆ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა დაადგინა, გამოაცხადოს **ფილოქსერით დაავადებულად** სოხუმის ოლქის სოფელ ბესლახუბას ზოგიერთი მამულები და მუხრანში საუფლისწულო უწყების ვენახები. სთხოვოს საუფლისწულო უწყებას, მიიღოს ყოველივე საშუალება, რომ დუშეთის მაზრიდან ფილოქსერა სხვა მამულებში არ იქნას გადატანილი; შესდგეს სამი დასი ვენახების გამოსაკვლევად: აგრონომის დემენტიევის ხელმძღვანელობით—გორისა, დუშეთისა და ტფილისის მაზრების მამულების გამოსაკვლევად, ექსპერტის სპეშნევის ხელმძღვანელობით—კახეთის ვენახებისა, ხოლო ინსტრუქტორის საკოვის ხელმძღვანელობით—სოხუმის ოლქის ვენახებისა. საფილოქსერო დასები დაიქირავებენ მუშებს და ახლო მომავალში შეუდგებიან თავ-თავიანთ რაიონებში ვენახების გამოკვლევას.

◆ ამ სამი დღის წინად სახალხო წარმოდგენების სადგომში, ავჭალის ქუჩაზე, მოხდა **ქართულ წარმოდგენების სექციის სხდომა.** სექციამ შეადგინა სია იმ სცენის მოყვარეთა, რომელთაც ახლად მოისურვეს სახალხო წარმოდგენებში მონაწილეობის მიღება. ჩაეწერა 18 კაცამდე. როგორც ვწერდით, სექციას 20-მდე ახალი პიესა აქვს, ზოგი ორიგინალი, ზოგიც ნათარგმნი. რეპეტიციები დაიწყება ამ დღეებში, ხოლო პირველი წარმოდგენა გაიმართება 13 სექტემბერს.

◆ **რიყის ქუჩის მცხოვრებლებმა** გუშინ განცხადება გადასცეს ქალაქის გამგეობას და აცნობეს, რომ უსახელო საზოგადოებამ რიყის ქუჩაზე რკინის გზის ლიანდაგი ქვაფენილზე მაღლა გააკეთა, რის გამო დიდი ზარალი მოგველის ნიაღვრების დროს და, თუ ქალაქმა არაფერი იღონა, სახლები წყლით აგვევსებაო.

◆ ფოთი. ფოთში არსებობს ქალაქის სამკურნალო. სამკურნალოში მომსვლელნი ექიმს შაურს იხდიან გასინჯვისა და რეცეპტის დაწერაში. ეს დიდი შეღავათია ქალაქ ფოთის მცხოვრებთათვის, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ სოფლიდან ჩამოსული საწყალი ხალხი ვერ სარგებლობს ამ სამკურნალოთი. ამ დღეებში ერთ საცოდავს დედაკაცს სოფელ ხორგადან ავადმყოფი შვილი ჩამოეყვანა და სამკურნალოს კარებს ატუზვოდა. მაგრამ, როგორც არა ფოთელმა, სავადმყოფოთი ვერ ისარგებლა, ექიმთანაც ვერ მივიდა, რადგან იმის მისაცემი ერთი მანეთი არა ჰქონდა და ატირებული დედა უკანვე გაბრუნდა. კარგი იქნება, ისე მოეწყობოდეს საქმე, რომ ამ სამკურნალოთი სოფლელნიც სარგებლობდნენ.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ ქალაქის რომელსამე ნაწილში საკლავი საქონელი არ გაიყიდოს. საქონლის გამრეკველებმა საქონელი პირდაპირ ქალაქის ბაკში უნდა მორეკონ.

◆ ტფილისის სასანიტარო კომისიამ სთხოვა გუშინ ქალაქის გამგეობას, ქუჩებისა, მოედნებისა და ხევების დასუფთავების თვალყურის გდება და ქალაქის მუშების ხელმძღვანელობა დაევალოს ინჟინერს ჩახმახსაზიანცს.

◆ 22 აგვისტოსთვის დანიშნული კრება ტფილისის დურგალთა ამხანაგობისა არ შესდგა, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, და გადაიდო 29 აგვისტოსათვის.

◆ კვირას, 22 აგვისტოს, შუაბაზარში, ტფილისის მცხოვრებმა მახეილ ბაიანდუროვმა 14 მანეთი ამოაცალა ჯიბიდან სარრა ადუშ ავდიშევისას. ჯიბგირი დააპატიმრეს.

◆ 22 აგვისტოს პოლიციის მოხელემ დააპატიმრა ედუქსია ლიასკოვსკისა, რომელსაც „როსიის“ სასტუმროში ტანისამოსი მოეპარა და მიჰქონდა.

◆ 13 აგვისტოს სოფელ ხეთაში ქალი მოიტაცა ბ. ვ—ამ და ჭალადიდში მიიყვანა ლ. ქ—ას სახლში. ეს ამბავი შეიტყო ადგილობრივმა მამასახლისმა ი. გვ—ამ, დააპატიმრა ორივე და წარუდგინა სენაკის მაზრის უფროსს, რომელმაც მორიგებით გაათავა იმათი საქმე.

◆ ტფილისის მოქალაქემ დარჩო ეგანოვმა გუშინ განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში და შეატყობინა, რომ ფანერის სახერხავი ქარხანა მაქვს მტკვრის ტოტის იმ ადგილას, სადაც პაპკოვის წისქვილია. დღემდე არ გამიგია, თუ ქალაქი პაპკოვის წისქვილის არხს აქცევდა და უკვე 5000 მან. ნიგვზის ხეები მივზიდე ჩემს ქარხანაში დასამზადებლად. თუ ვინიცობაა ქალაქმა არხი დაანგრია, ქარხნისთვის წყალი აღარ მექნება და დიდი ზარალი მომეცემაო. ეგანოვი სთხოვს გამგეობას, 20 სექტემბრამდე მაინც არ მოშალოს პაპკოვის წისქვილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ზარალს ქალაქს გადავახდევინებო.

◆ 22 აგვისტოს, ვორონცოვის ქუჩაზე, ვაჭრის იასონ კერესელიძის დუქანი გაუღია ვიღაცას მორგებულის გასაღებით და 80 მანეთი წაუღია; წაუღია აგრეთვე 2 ვერცხლის საათი. ეჭვი მიიტანეს და დააპატიმრეს რაჭისა მაზრის მცხოვრები დიმიტრი ს. ბუაძე.

◆ ადელხანოვის სახელოსნოში 22 აგვისტოს უეცრად გარდაიცვალა გორის მაზრის სოფ. კავთისხევის მცხოვრები დ. გველესიანი. გარდაცვალებულის გვამი მიზეზის გასაგებად გაგზავნეს მიხეილის სამკურნალოს საანატომიო განყოფილებაში.

◆ რუსის ქუჩაზე ვიღაც ბოროტ-განმზრახველებს 22 აგვისტოს გაუტეხიათ სტეფანე და ბეგლარ ჭუბაბრიას სახელოსნო და იქიდან 22 მანეთი ფულად და ნივთები გაუტანიათ. ქურდების ვინაობა არ იციან და არც ეჭვი აქვთ ვიზედმე.

◆ ტფილისის მოქალაქემ დიმიტრი ბალიაშვილმა განუცხადა პოლიციას, რომ ჩემი შეგირდი, 8 წლის ყმაწვილი, ბაგრატ ნოკაჩაშვილი 22 აგვისტოს სახლიდან გავიდა და სადღაც დაიკარგაო.

რუსეთის ქრონიკა

◆ ქ. ადესის პოლიციას ამას წინად ეცნობეს, რომ ქალაქის ერთ-ერთ უბანში, შვეცოვის სახლში, შტუნდისტთა (მწვალებელთა) კრება იმართებაო. პოლიციის ბოქაული პოლიციელებითა და მეეზოვეებით თავს დაესხა შეკრებილთ, სულ 57 კაცს. იმ ოთახში, სადაც კრება იყო გამართული, სტოლზე გაშლილი სახარება და დაბადება იდო. კედლებზე ეკიდა ქაღალდის ფურცლები, რომლებზედაც სახარებიდან ამოღებული სიტყვები ეწერა. პოლიციამ იმ დროს შეუსწრო კრებაში მონაწილეთ, როცა ერთი დამსწრეთაგანი სტოლთან იდგა და სახარებას უკითხავდა სხვებს. პოლიციამ აუკრძალა კითხვა და ჩასწერა ყველა დამსწრეთა გვარები. შეკრებილთ გამოაცხადეს, ჩვენ თავს ქრისტეანებადა ვსთვლით და აქ სახარების საკითხავადა და სალოცავადა ვართ შეკრებილნიო. პოლიციამ აცნობა ყველაფერი ადგილობრივ დეკანოზს, რომელმაც კრების გამმართველნი მწვალებლებად აღიარა და ისინი სამართალში იქმნენ მიცემულნი.

◆ ხმებია, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადასწყვიტა, როსკიპ ქალებზე ზედამხედველობა ქალაქებს გადაეცესო.

◆ პოლონეთში, როგორც ჩვენ გაზეთში მოხსენებული გვქონდა, რუსეთ-იაპონიის ომმა ქესატობა გამოიწვია. დაიხურა ბევრი ქარხანა და მრავალი მუშა დარჩა ულუკმაპუროდ. ეხლა „ვარშავ. დნევ“-ი იუწყება, რომ ადგილობრივ მთავრობას გადაუწყვეტია, საზოგადოების დახმარებით, შემწეობა აღმოუჩინოს უსაქმოდ დარჩენილ მუშებს. დაარსდება გუბერნატორების თავმჯდომარეობით განსაკუთრებული კომიტეტები, რომლებშიაც მონაწილეობას მიიღებენ საზოგადოების წარმომადგენელნი. კომიტეტებმა უნდა შეჰკრიბონ ცნობები უსაქმოდ დარჩენილთა და გაჭირვებულთა შესახებ, უნდა გამოარკვიონ საჭირო შემწეობის რაოდენობა, იზრუნონ, რათა უსაქმოდ დარჩენილთ სამუშაო აღმოუჩინონ, შემოწირულებანი შეჰკრიბონ და სხ.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა ახალი ნიხრი აფთიაქებისათვის და გაუგზავნა ყველა სამკურნალო გამგეობათ ეს ნიხრი განკარგულებით, რომ იგი შემოღებულ იქნას მიმდინარე წლის 1 ენკენისთვიდან.

◆ რუსეთის ბევრ ქალაქში აღძრეს საკითხი კვირაობით ნოქრებისა და სავაჭროებში მოსამსახურეთა დასვენების შესახებ. ზოგიერთ სარატოველ ვაჭრებს შეუდგენიათ მოხსენება იმის შესახებ, რომ მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების გამო მოსპობილ იქნას სარატოვში კვირაობით ვაჭრობა და ამ მოხსენებაზე ხელს აწერინებენ სხვა ვაჭრებსაც.

წერილები

ჭიქოური (იმერეთი). ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ჭიქოური ერთი სამრეწველო ცენტრია ჭიათურის რაიონში: აქ არის სხვა-და-სხვა ფირმების მარგანეცის საწყობები, რომელთაგან 15 მილიონი ფუთი შავი ქვა გააქვთ რუსეთსა და საზღვარ-გარედ; ჭიქოურს აკრავს მრავალი მარგანეციანი ადგილი და მრავალი სოფელი; ჭიქოურში არის პატარა ბაზარიც. აქ, ამ ბაზარში წელიწადში იყიდება დაახლოვებით სხვა-და-სხვა სანოვაგე (თივა, ქერი, ბზე, სიმინდი, ნავთი, პური და სხვა), 150,000 ფუთამდის, ამისათვის აუცილებლად საჭიროა ჭიქოურში დაარსდეს სადგური, მით უმეტეს, რომ ჭიათურასა და ჭიქოურს შუა წვრილ მრეწველთ ხშირი მიმოსვლა აქვთ და ამ გზაზე ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა ყაჩაღობა. ურიგო არ იქმნება, მრეწველთა საბჭომ იშუამდგომლოს ამის შესახებ რკინის გზის გამგეობის წინაშე.

ლადო გუბელი

სოფელი ჟოშხა (ლეჩხუმი). უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო, იტყვიან და ეს ანდაზა ზედგამოჭრით ჟოშხელებზეა ნათქვამი. იმას სტიროდნენ და სწუხდნენ, რომ გვალვამ სიმინდის სინსილა მოუსპოთ წელს, მაგრამ ბუნებამ ესეც არ აკმარათ მცხოვრებთ და ამას თან მოჰყვა კიდევ სხვა უბედურება, რომელმაც მთლად მიწასთან გაასწორა იმათი იმედები: აქამდე ვენახებს გვარიანი პირი უჩანდათ და მკვიდრთ, სიმინდის მოუსავლობით გულ-გახეთქილებს, ცოტა იმედი კიდევ შერჩენოდათ ღვინის მოსავალზე; მაგრამ მოულოდნელად დაჰკრა რაღაცა უცნაურმა ჰაერმა და ეს უკანასკნელი იმედიც გაუქრათ ჟოშხელებს: ყურძნის მარცვლები სანახევროდ ხმება მტევანზე და სცვივა; რაც რჩება ზედ, ისიც არაა კარგი. ამ მოვლენილმა უბედურებამ ძალიან დააძმარა გლეხი.

ა. სალუქაძე

ს. სტეფანწმინდა (ხევი). 16 აგვისტოს გენერალ ყაზბეგის დარბაზში სტეფანწმიდის სკოლის სასარგებლოდ, მასწავლებლის ბ-ნ ჩოხელის ხელმძღვანელობით, გაიმართა სალიტერატურო-სამუსიკო საღამო. საზოგადოება ბევრი დაესწრო. საღამომ საზოგადოდ კარგად ჩაიარა. ხსენებულ სოფლის სკოლის მოხელეთა ხორომ იმღერა რამდენიმე სიმღერა ქართულ-რუსულ ენებზე. საღამოს დასასრულს ბ-მა აბრამოვმა წაიკითხა რამდენიმე სცენა ვაჟების ცხოვრებიდან და ბევრი აცინა საზოგადოება.

ი. —რი

მცხეთა (ქართლი). გავიდა ივლისი და დაგვიდგა აგვისტო. აღარ არის ის საშინელი სიცხე-პაპანაქება, რომელიც ადამიანს გულს უწუხებდა და თავისუფლად ჰაერის სუნთქვას უჭირებდა და ზედ დამატებით სიცხისაგან გამხმარ დედამიწას საშინელი მტვრის ბუქი ასდიოდა. დედა-მიწას ზევითა კანი ისე დაჰხეთქოდა და პირი დაეღო, ასე გეგონებოდათ, ძირიდან ამოხეთქას აპირობსო. აგვისტოს თან მოჰყვა ნიავი, რომელიც აგრილებს აქაურობას. მთელ ზაფხულს ცის ნამი არ გვინახავს და მხოლოდ ეხლა გვეღირსა ჟუჟუნა წვიმა. ყოველკვირაობით აქ მრავალი ხალხი მოდის ტფილისიდან; მოდიან დროს გასატარებლად არმაზში, ნარეკვავზე და ნატახტრის ბოლოზე, სადაც მშვენიერი წყალი გამოდის. საღამოთი ეს ხალხი მცხეთის რკინის გზის სადგურზე თავს იყრის. მცხეთაში ვისაც ერთი-ორი შაური გააჩნდა, ყველამ დროგები გაიმართა, ასე რომ მცხეთის სადგურის ბირჟა ველარ იტევს დროგებს. დუშეთის ეტლებიც ემატებიან. ზოგიერთს ისეთი საცოდავი და დავარდნილი ცხენები უბიათ, რომ ასე გეგონებათ, მთელ წელიწადს არა უჭმევიათ-რაო. ბევრჯელ მინახავს, რომ მგზავრებს შუა გზაში თავი დაუნებებიათ ჩახრახა დროგისათვის. მცხეთა ასეთი დიდი სოფელია და ერთი პატარა აფთიაქი არ გვაქვს. ყოველთვის ტფილისს უნდა მივატანოთ ხოლმე. აქ შუა სოფელში, სახლების გვერდით, დიდი თივის ზვინები დასდგეს, რაიც მეტად საშიშოა: ერთი ნაპერწკალი რომ მოჰხვდეს, სულ ერთიანად გადაიწვება აქაურობა. როდესაც მცხეთის ბოქაულად ბ-ნი სულხანიშვილი იყო, განკარგულება მოახდინა, აღარ დაედგათ, მაგრამ სანამ აღსრულებაში მოიყვანდა, იგი გადაყვანილ იქმნი სხვაგან. ეს ერთი თვე იქმნება, რაც შეუდგნენ მუშაობას სვეტიცხოვლის ეკკლესიის შესაკეთებლად.

შესართაველი.

მეჯვრისხევი (ქართლი). წელს მეჯვრისხეველთ პურის მოსავალი საშუალო მოგვივიდა, ხოლო სიმინდისას და ღვინისას საშუალოზე ნაკლებს მოველით; ამ ნაირად, ვსიზმრობთ, მომავალის წლის გაზაფხულზე იგივე დღე დაგვადგება, რაც წელს ვიგემებთ ამ გაზაფხულს მთლად მეჯვრისხევში ათი კომლი თუ გამოირჩეოდა, რომელსაც საზრდო წლის დამლევამდე მიჰყვა, თორემ დანარჩენი ყველა ერთ ტაფაში ვიწვოდით და იძულებულნი ვიყავით, კოდ პურში ხუთი მანეთი გვეძლია და კოდ სიმინდში 17—18 აბაზი. რას ვიზამდით, ხომ მოგეხსენებათ მუცლის ღალატი არ იქნება, დღისით-მზისით მშივრები ვერ დავიხოცებოდით. მადლობა ჩვენებურ ჩარჩ-მოვაჭრეთ, რომ ეს ფათერაკი არავის დაემართა. უნდა მოგახსენოთ, რომ მიამსწრე არავინ არის მეჯვრისხევში, იმოდენა პური და სიმინდი შემოსულიყოს გარეშე სოფლებიდან, რამოდენაც წელს გაზაფხულზე შემოვიდა. თუმცა ჩვენც ვისარგებლეთ, მაგრამ არც კურთხეულთ ისრაელთა მოვაჭრეთ უზარალნიათ. იმისთანა ჩანახით გვაძლევდნენ ეს დალოცვილნი, რომ ორი კაცი თამამად გიახლებოდით ერთ დღეს ერთი ჩანახის ნამცხვარსა. ჩვენ კი მაინც მადლობელნი ვიყავით, რადგან გარეშე სოფლებში სიარული აღარ დაგვჭირდა და მზა-მზარეულს კარებზე ვშოულობდით. ეს დრო ჩვენის მოცდენისა ჰკვიან ებრაელთა მიერ გამოანგარიშებული იყო და ჩანახით წონა-რწყვა ამისათვის იყო ნავარაუდევი. დიახ,

ესეც ერთი უნარია. ყველა თავის უნარით ცხოვრობს.

დღიურ ახალ ამბად აქ შემდეგი გარემოებანი ჩაითვლება: პირველი: მეჯვრისხევის საზოგადოების ბოქაული გამოგვეცვალა. რუსის ადგილი ქართველმა კაცმა დაიჭირა, ქართველმა, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრი თავის ჭირ-ვარამს პირდაპირ, უთარჯიმნოთ გარდასცემს და უთარჯიმნოთვე მიიღებს შესაფერს სამართალს. დიახაც, რა სჯობია იმას, რომ გულის ყარიმს მსაჯული პირდაპირ მიგიხვდეს, უგულოც რომ იყოს, მცირე თანაგრძნობით მაინც აღნიშნავს საქმის აწონ-დაწონაში. მეორე: წელს ზაფხულს აქ სამი წარმოდგენა გაიმართა, რომელთაგან ერთი უკანასკნელი უფასო იყო მაყურებელთათვის, ხოლო პირველი ორი—ადგილობრივ საავადმყოფოსათვის. ჩვენ ჯერ არ ვიცით შემოსავლის რაოდენობა და იმედია, გაგვაგებინებენ ვისიც ჯერ არს...

Sésnt

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 აგვისტო

მუკდენი. 20 აგვისტო („რეიტ. სააგ.“). ლიაოიანთან მომხდარ ბრძოლაში რუსების არტილერიას დიდი სარგებლობა მოუტანა მობმულმა ჰაეროსტატებმა. ეს ჰაეროსტატები რუსებმა სამხრეთ-აღმოსავლეთით აუშვეს და იმათ მეოხებით გაიგეს, სად იყო მტრის ბატარეები.—უკან დახევის დროს რუსებმა თავი მიანებეს რამდენსამე ზარბაზანს, ამ ზარბაზნების წაღება შეუძლებელი იყო. იაპონელთა ყუმბარები 18 აგვისტოდანვე ხვდებოდა ლიაოიანის სადგურს და ტაიძიხეზე გადებულ ხიდს.—ტყვე იაპონელები ძალიან დასუსტებულები არიან: ზოგს ორის დღის განმავლობაში არა უჭამია-რა. კოკის-პირული წვიმა შეუწყვეტლივ მოდიოდა. ამ წვიმამ სანგრები წალეკა. ტყვეების ტანისამოსი და ფეხსაცმელი ნაფლეთებად არის ქცეული.

ლონდონი, 22 აგვისტ. („რეიტ. სააგ.“). კუროკის მთავარი სადგომი. (თარიღი არა აქვს) იაპონელებმა ამ ჟამად დაიჭირეს ის პოზიცია, რომელიც რკინის გზას დაჰყურებს. ცხარე ბრძოლა ჯერ არ შეწყვეტილა. უმთავრესს როლს არტილერია თამაშობს.

ტოკიო. 23 აგვისტო („რეიტ. სააგ.“). გამოქვეყნებულ იქნა ის ხელშეკრულება, რომელსაც სეულში იაპონიისა და კორეის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს. საფინანსო და სადიპლომატო მრჩევლებად კორეის მთავრობასთან დამტკიცებულ იქმნენ მეგატა, სახელმწიფო შემოსავალთა ბიუროს დირექტორი, და სტევენსი, ვაშინგტონში მყოფ იაპონიის საელჩოს მრჩეველი. ხელშეკრულობის ძალით კორეიას არ შეუძლიან, იაპონიის დაუკითხავად რამე საქმე დაიჭიროს სხვა სახელმწიფოსთან.

ტოკიო. 22 აგვისტო („რეიტ. სააგ.“). 22 აგვისტოს, საღამოს 9 საათამდის, კუროკის ჯერ საბოლოოდ არა ჰქონდა აღებული ის სიმაღლე, რომელიც რკინის გზას დაჰყურებს. ამ მხარეს რუსებს მაშველი ჯარი მოსდის მუკდენიდან.

ვაშინგტონი, 22 აგვისტო („რეიტ. სააგ.“). ხმა დადის, იაპონელები ლიაოიანს ჩრდილოეთის ბაზად გადააქცევენ და ამით დაკმაყოფილდებიანო. იაპონელები ჰხედავენ, რომ რუსეთი მომავალ წლისათვის მოემზადება და კუროპატკინს მაშველ ჯარს გაუგზავნის. იაპონია უკვე გეგმებს ადგენს; იგი მანჯურიაში 200 ათას კაცს გაჰგზავნის, თუ საჭირო იქნება.

ჩიფუ, 21 აგვისტო („რეიტ. სააგ.“). პორტ-არტურიდან მოსული ჩინელები ამბობენ, რომ იაპონელები დღე და ღამ განუწყვეტლივ ციხეს ზარბაზნებს უშენენო. ნავთ-სადგურში მყოფი სამხედრო გემები ყუმბარებს ესვრიან იაპონელთა პოზიციებს.—16 აგვისტოს „ბაიან“-ი, „პერესვეტ“-ი და „პალადა“ ნავთ-სადგურიდან 2 ვერსის მანძილზე გავიდნენ და ყუმბარები დაუშინეს იაპონელებს. იაპონიის ესკადრა ჰორიზონტზე მოსჩანდა, მაგრამ რუსის გემებზე იერიში არ მიიტანა. „პერესვეტ“-ს ხმელეთიდან ყუმბარა მოჰხვდა და 15 კაცი მოჰკლა.—განუწყვეტელი მუშაობაა დაზიანებულ გემების შესაკეთებლად. 28 ივლისის ბრძოლაში „სევასტოპოლ“-ი უმნიშვნელოდ დაზიანდა. ორ ნაღმიან გემს დასავლეთის ბასეინში აკეთებენ. დაჭრილნი საავადმყოფოებში და გემებს „მონგოლია“-სა და „კაზან“-ზე არიან; არიან აგრეთვე კერძო სახლებში. იაპონელები ფიქრობენ საერთო იერიშის განახლებას. პორტ-არტურიდან მოსულმა ჩინელმა სთქვა, 16 აგვისტოს იაპონელები მოულოდნელად დაეცნენ პალიჯუანს და ხელში ჩაიგდეს რუსის პოზიციები. რუსებს დიდი ზარალი მოუვიდათ. 17 აგვისტოს იაპონელებმა რამდენჯერმე იერიში მიიტანეს ერლუნგშანზე, მაგრამ რუსებმა უკუაგდეს. იაპონელების ზარალი 1000 კაცამდეა. 18 აგვისტოს იაპონელები მიესივნენ იმ სიმაგრეს, რომელიც ერლუნგშანთანაა. 7 საათის ბრძოლის შემდეგ რუსებმა დაიხიეს და სხვა სიმაგრეებიდან სროლა დაუწყეს იაპონელებს, რის გამო ამ უკანასკნელთ პოზიციას თავი მიანებეს. იაპონელები განუწყვეტლივ ყუმბარებს უშენენ ქალაქსაო.

ჩიფუ. 22 აგვისტო („რეიტ. სააგ.“). იაპონელები უარს ამბობენ ეხლა საერთო იერიშის მიტანაზე. ამის ნაცვლად პოზიციებზე სდგამენ 400 ზარბაზანს, რომ ყუმბარების განუწყვეტელი სროლით ჩააჩუმონ რუსის ბატარეები და მერე ქვეითა ჯარით საერთო იერიში მიიტანონ. ამბობენ, ნოგი სულით დაეცაო. ლაოტეშანზე გასკდა გემის ერთი დიდი ზარბაზანი.—ამბობენ, ცინდაოში მყოფ ადმირალ მატუსევიჩს ომის შესახებ ულაპარაკნიაო. ამის გამო „რეიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტისათვის ადმირალს უთქვამს: „მე არასოდეს არ მითქვამს და არ ვიტყვი მაგგვარ რამეს. მე აღვნიშნე მხოლოდ: იაპონელთა ნაღმიან გემების მიერ „ცესარევიჩ“-ზე მიტანილმა იერიშებმა დაგვიმტკიცა, რომ გაშლილ ზღვაში ნაღმიანი გემები მაგდენად საშიშონი არ არიან ჯავშნიან გემებისათვისო“.

22 აგვისტო

პეკინი. ივლისში სამ ბელგიელ მისსიონერის მკვლელისთვის საფრანგეთის ელჩმა მოსთხოვა ჩინეთის მთავრობას: დასჯა დამნაშავეებისა, გადაყენება ქალაქის უფროსის თანაშემწისა და სხვა მოხელეებისა, რომელთაც უარი სთქვეს და მფარველობა არ გაუწიეს უცხოელებს, საავადმყოფოს გამართვა ყველა სარწმუნოების ჩინელთათვის და მოკლულთა დასაფლავება პატივისცემით. ამას გარდა ელჩი თხოულობს, რამდენიმე ასი დოლარი მიეცეთ იმ ოთხ ჩინელის ოჯახებს, რომელნიც მისიონერებთან ერთად მოჰკლესო. მისიონერების მკვლელის გამო ელჩი არავითარ ფულად სასყიდელს არა თხოულობს. ამბობენ, რომ ჩინეთის მთავრობა დაუყოვნებლივ დააკმაყოფილებს ყველა მოთხოვნილებასაო.

პარიზი, 21 აგვისტო. „მატენ“-ი იუწყება ახალ კანონ-პროექტის შესახებ, რომლის შემუშავებაც განუზრახავს მინისტრ-პრეზიდენტს. კანონ-პროექტი შეეხება ეკლესიის განცალკევებას სახელმწიფოსაგან.

ლონდონი. 21 აგვისტო. მეფე მარიენბადიდან ბუკინჰამის სასახლეში დაბრუნდა.

სტამბოლი. სამოქალაქო აგენტები და გენერალ-ინსპექტორი ჰილმი-ფაშა ერთის კვირის შემდეგ მონასტირიდან უსკიუბში გადავლენ. როგორც ბოლგარელები ამბობენ, მაკედონიის კომიტეტების მეთაურთ ბრძანება გაუციათ აჯანყება შესწყვიტონ. თითო-ოროლა ძალმომრეობა ეხლაც ხდება, მაგრამ ამ ძალმომრეობას სჩადიან ან კერძო გატაცებული პირნი, ან ყაჩაღთა ჩვეულებრივი ბრბოები.

ბერლინი, 21 აგვისტო. ხმა დადის, მალე მოხდება ნიშნობა გერმანიის კრონ-პრინცისა და პრინცეს ცეცილიასით. პრინცესსა დაა დიდის ჰერცოგის მეკლენბურგ შვერინისა.

მილანი, 21 აგვისტო. კუნძულ კრიტის უმაღლესს კომისსარს პრინც გიორგის დღეს საუბარი ჰქონდა გარეშე საქმეთა მინისტრთან. პრინცმა გადასცა მინისტრს მოხსენება. ეს მოხსენება შეეხება საქმის ვითარებას კუნძულ კრიტზე. იგი სხვა სახელმწიფოებსაც გაეგზავნება.

კუზნეცკი. დღეს გაიხსნა წითელ ჯვრის ახლად დაარსებულ საავადმყოფოს შენობა. საავადმყოფოში 25 საწოლია.

ხაბაროვსკი. ქალაქის ადგილში აღმოჩნდა ოქროს მადანი. გამოკვლევას შეუდგნენ.

ვოლსკი. საბჭომ დაადგინა, დააწესოს სტეხნიკო სკოლებში ათი სტიპენდია მემკვიდრე ცესარევიჩის სახელობისა და აპატიოს დარიბთ 10 ათასი მანეთი.

ვორონეჟი. საბჭომ დაადგინა: აპატიოს დარიბებს 10 ათასი მან., დააარსოს ორ-კლასიანი სკოლა, სახელად „ალექსის სკოლა“ უწოდოს და მიულოცოს და უქვეშევრდომილესი გრძნობანი გამოუცხადოს მათ უდიდებულესობათ.

23 აგვისტო

ალტონი. 22 აგვისტოს მათ უდიდებულესობებთან სადილი გაიმართა. სადილის დასასრულს იმპერატორმა გამოაცხადა კრონ-პრინცისა და ცეცილია მეკლენბურგის დანიშვნის ამბავი. იმპერატორის სიტყვებს სიხარულით მიეგებნენ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

იყიდება

სხვაგან გადასახლების გამო **ავეჯი სახლის მოსაწყობად,** მოსწავლეთა სტოლები ერისმანის სისტემისა; წიგნები რუსისა და უცხო-ქვეყნის მწერლების თხზულებათა; ლექსიკონები ენციკლოპედიური ბროკჰაუზისა—80 კაპ. იძლევა ქირით სადგომი 3, 4 და 5 ოთახიანი ვანნით. თუმანოვის ქ., № 11. პანსიონი ტერ-სტეფანოვისა. (2—228—1)

ქუთაისში

კბილის ექიმი

დავით ს-ძე რიჟინაშვილი

პუშკინის ქუჩა, № 10, სახლი იაკ. გოკიელოვისა. მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათზე, საღამოს 5—7 საათზე. (30—3512—9)

ახალი გახსნილი

სასტუმრო **არკადია** ნომრებით

(ყოფილი „იალტა“)

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქუჩ. კუთხეში. სადილი **ორი** თავით, ჭიქა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. უასპელებოთ და უყავოთ 30 და 20 კ., ღვინო ბოთლი 25 კ. და ძვირფასიც. თვიურად იაფად და ეძლევათ აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილით და 5—12 ს. საღ. (88—[illegible]—47)

განცხადება-პანსიონი

ა. გ. ყარაგეზოვისა

(არსებობს XIII წელიწ. ტფილისი, ავლაბარი, არხ. ანგელის ქუჩა, № 32)

მიიღებიან მოსწავლენი ყველა სასწავლებლისათვის მოსამზადებლად. აქვე შეიძლება რეპეტიცია გიმნაზიისა, რეალურ საკომერციო და სხვა სასწავლებლის მოსწავლეთა. სასყიდელი ზომიერია. (2—281—1)

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

ტრიოხგორნი ლუდხანის ამხანაგობა მოსკოვში

ყოველ დღე ამზადებს 3.500,000 ვედრა საუკეთესო ხარისხის ლუდს, რომელიც დაჯილდოვებულ იქმნა სახელმწიფო გერბით 1882 და 1896 წ. წ. გამოფენაზე. ამხანაგობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ განიზრახა ყოველ დღე მიაწოდოს ადგილობრივ მომხმარებელთ ახლად ადამზადებული ლუდი რაც შეიძლება ნაკლებ ფასად და ამიტომ დააწესა ლუდის გამოგზავ ტფილისში სკუთარ საყინულე-ვაგონებით. ტფილისში ნარდათ სავაჭრო ცენტრალური საწყობი ურჩევ მსურველთ იყიდონ ხოლმე უმაღლეს ხარისხის ლუდი:

სუფრაზე სახმარებელი (თეთრი) დაწესებ. ფასი მაღაზ. 15 კაპ. ბოთლი (1/20) უშურველად.
კულმბახის (შავი) „ „ „ 16 „ „ „ „

ბოთლები ფირმისა სახელმწიფო გერბით არის, კაპსიულებით. ცენტრალურ საწყობის კანტორა თავის თავ იღებს ლუდის სახლში მიტანას: სუფრაზე სახმარებლისა 14 კაპ. ბოთლი, კულმბახისა 15 კაპ. ბოთლი (1/ ვედრისა), ჭურჭლის ბე 6 კაპ.

ადრესი: პუშკინის ქუჩა, № 11, წურინოვის პასსაჟი. **ტელეფონი № 1013.**

შენიშვნა: ტფილისს გარეშე მყიდველთ, თუ მოისურვებენ, ლუდი გაეგზავნებათ პასტერის სისტემით დაწმენდილი (ექსპორტ) და ღვინის ჭურჭლებში ჩასხმული. (50—35—40

1865 მოსკოვი 1870 პეტერბურგი 1882 მოსკოვი 1896 ნიჟნ.-ნოვგოროდი.

კალოშებისა

და რეზინის სხვა საქონლისათვის

უდიდესი ჯილდო

Graand prix)

პარიზის გამოფენაზე

მიენიჭა რუსეთში მხოლოდ

ამხანაგობას

რუსეთ-ამერიკის

რეზინის მანუფაქტურისას

ს.-პეტერბურგში,

დაარსებულს **1860** წელს

რეზინის კალოშების ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს **„1860“** და სიტყვას

„С.-Петербургъ“

წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).

ნარდათ ვაჭრობას აწარმოებს სავაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი“

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკსა, **ტფილისს** და ტაშკენტში.

(60—15)

Дозв. цензурою 23 августа 1904 г. ელექტრონის სტამბა „წიგნების გამომც. ქართვ. ამხ—სა.“ Электрон. „Груз. Изд. Т—ва.“